



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

### ვეჯინის ციხე



ვეჯინის ციხე, ვ ე ჟ ი ნ ი ს ც ი ხ ე, X-XI სს. ციხე კახეთში, გურჯაანის მუნიციპალიტეტში, სოფელ ვეჯინის მახლობლად. პირველად იხსენიება X ს. დასაწყისში (იხ. ვეჯინის შეთანხმება). ვ. ც. თავდაპირველად ჰერეთის, შემდეგ კახეთის სამეფოს ერთ-ერთი ცენტრი იყო. XI ს. 80-იან წლებში, კახეთში თურქებთან ერთად ლაშქრობის დროს, მეფე გიორგი II-მ სცადა ვ. ც-ის აღება, მაგრამ უშედეგოდ.

დავითის ისტორიკოსის სიტყვებით, გიორგი არ დაელოდა ვ. ც-ის აღებას, თოვლის მოსვლისას აჯამეთის ტყეში სანადიროდ წავიდა, შემდეგ დას. საქართველოში გადავიდა და ქვეყანა თურქებს მოსაოხრებლად დაუტოვა. ვეჯინის X-XI სს. ციხესიმაგრე აღმართულია მაღალ გორაკზე, ნაგებია რიყის ქვით. დროთა განმავლობაში ბევრჯერ გადაუკეთებიათ, საფუძვლიანად კი - XVIII ს-ში. ციხის შიგნით რამდენიმე ეკლესია და სხვა ნაგებობაა. აღსანიშნავია ამაღლების, აღდგომის და წმ. მარიამის ეკლესიები. ყოველი მათგანი რამდენჯერმე გადაკეთებული. უცვლელად დგას მხოლოდ XV-XVI სს. ორსართულიანი სამრეკლო. ციხის ქვემოთ, გზის პირას, აღმართულია ყველანმინდის ეკლესია. თავდაპირველად აქ რიყის ქვით ნაგები მცირე ზომის ეკლესია მდგარა, რ-იც XVII ს. დასაწყისში აგურით ნაშენ ცენტრ.-გუმბათოვან ნაგებობად გადაუკეთებიათ.

**პ. ზაქარაია**

**დ. მუსხელიშვილი**

